თავი 11

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა – ტესტები

1 . სასაქონლო მატერიალური ფასეულობები გათვალისწინებულია:

ა) გასაყიდად;

ბ) მომსახურეობის გასაწევად;

გ) ორივე პასუხი სწორია.

2. სასაქონლო – მატერიალურ მარაგს მიეკუთვნება:

ა) შენობა, საამშენებლო კომპანიისათვის;

ბ) ავტომობილი, საავტომობილო წარმოებისათვის;

გ) ორივე ზემოთ ჩამოთვლილი.

3. სასაქონლო მატერიალურ მარაგს არ მიეკუთვნება :

ა) კონვეიერი - საავტომობილო ქარხანაში;

ბ) რკინა - მეტალურგიულ წარმოებაში;

გ) ხორც-პროდუქტები - რესტორანში.

4. საქონელი ეს არის:

ა) ნაყიდი, მოპოვებული ან თავის მიერ დამზადებული მარაგი, რომელიც საწარმოს მიერ გამოიყენება შემდგომი გადამუშავებისათვის;

ბ) გასაყიდად ნაყიდი მარაგი, რომელსაც კომპანია სახეცვლილების გარეშე ყიდის;

გ) მარაგი, რომელიც დამუშავების პროცესშია.

5. საწარმომ შეიძინა შენობა შემდგომი რეალიზაციისათვის, რომელ აქტივს მიეკუთვნება შეძენილი შენობა:

ა) ძირითად საშუალებას;

ბ) მარაგს;

გ) ინვესტიციებს.

6. რომელია სწორი მსჯელობა :

ა) მარაგი მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც უფრო ლიკვიდურია, ვიდრე დებიტორული დავალიანება;

ბ) მარაგი, მიმდინარე აქტივია, რომელიც, ჩვეულებრივ, ერთი საოპერაციო ციკლის განმავლობაში უნდა იქცეს ფულად;

გ) ორივე მსჯელობა სწორია.

7. დოკუმენტს, რომელიც ფორმდება საქონლის მიღების დროს მიმღებ განყოფილებაში, ეწოდება:

ა) შემოსავლის ორდერი;

ბ) შემოსავლის ზედდებული;

გ) გასავლის ზედდებული.

8. დაალაგეთ თანმიმდევრულად საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურები:

ა) შესყიდვის განყოფილების მიერ შესყიდვის შეკვეთის ბლანკის გამოწერა;

ბ) შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურის განაღდება;

გ) საქონლის მიმღები განყოფილების მიერ შემოსავლის ზედდებულის შევსება;
დ) შესყიდვის განაცხადის შევსება.

9. შეძენის რომელი დანახარჯი ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში:
ა) სავაჭრო დანამატი;
ბ) მარაგის შემოტანისას ტრანსპორტირების დანახარჯი;
გ) ფასდათმობა.

10. თუ საწარმო დღგ-ს გადამხდელია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულებაში შევა:
ა) შეძენასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი და დღგ.
ბ) შეძენასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი და სავაჭრო დანამატი;
გ) შეძენასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი დღგ-ს გარეშე.

11. მარაგის შეძენის დანახარჯი შეიძლება იყოს:
ა) ნასყიდობის ფასი;
ბ) შეძენასთან დაკავშირებული სამივლინები ხარჯი;
გ) ორივე მათგანი.

12. შესყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგის შეფასება უნდა მოხდეს:
ა) მიმდინარე აღრიცხვის მიზნით;
ბ) ბალანსში ასახვის მიზნით;
გ) ორივე პასუხი სწორია.

13. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების დანახარჯები მოიცავს:
ა) მხოლოდ პირდაპირი მასალისა და პირდაპირი შრომის დანახარჯებს;
ბ) პირდაპირ დანახარჯებს და ზედნადებ ხარჯებს;
გ) მხოლოდ მუდმივ და ცვალად ზედნადებ ხარჯებს.

14. ზედნადები დანახარჯები შეიძლება იყოს მუდმივი და ცვლადი:
ა) წარმოებული ერთეულების მიმართ;
ბ) რეალიზაციის დანახარჯების მიმართ;
გ) საერთო სამეურნეო ხარჯების მიმართ.

15. ჩამოთვლილთაგან რომელია ზედნადები დანახარჯი:
ა) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება;
ბ) საამქროს შენობის იჯარის გადასახადი;
გ) ორივე მათგანი.

16. კონვერსიის დანახარჯები ეს ივივეა, რაც:
ა) შეძენის დანახარჯები;
ბ) გადამუშავების დანახარჯები;
გ) გაყიდვის დანახარჯები.

17. მასალის დანახარჯმა პროდუქციის თვითღირებულებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს როგორც:

ა) ძირითადმა დანახარჯმა ძირითადი მასალის სახით;

ბ) ზედნადებმა დანახარჯმა დამხმარე მასალის სახით;

გ) ორივე პასუხი სწორია.

18. რომელია სწორი მსჯელობა:

ა) შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემის დროს, თვითღირებულება გროვდება საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით;

ბ) პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემის დროს თვითღირებულების დაგროვება ხდება დროის შუალედში.

გ) პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა განსაზღვრავს დანახარჯს თითოეულ შეკვეთაზე.

19. თუკი მარაგზე მუდმივი ზედნადები დანახარჯების განაწილებისას წარმოიშვა მიკუთვნების სიჭარბე (ან დანაკლისი), მაშინ წარმოშობილი სიჭარბით (ან დანაკლისით) უნდა დაკორექტირდეს:

ა) მიმდინარე პერიოდის ხარჯი;

ბ) მარაგის თვითღირებულება;

გ) ორივე პასუხი სწორია.

20. ზედნადები დანახარჯის შთანთქმის განაკვეთი იანგარიშება:

ა) გეგმიური ზედნადები ხარჯებისა და ბაზის გეგმიური მოცულობის საფუძველზე;

ბ) გეგმიური ზედნადები ხარჯებისა და ბაზის ფაქტიური მოცულობის საფუძველზე;

გ) ფაქტიური ხედნადები ხარჯებისა და ბაზის გეგმიური მოცულობის საფუძველზე.

21. შთანთქმის განაკვეთის საფუძველზე მუდმივი ზედნადები დანახარჯების მიკუთვნება ხდება:

ა) მიკუთვნების ფაქტიურ ბაზაზე;

ბ) მიკუთვნების გეგმიურ ბაზაზე;

გ) რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე.

22. მარაგის თვითღირებულებაში არ შედის:

ა) სავაჭრო დანამატი;

ბ) ზენორმატიული ხარჯები;

გ) არც ერთი მათგანი.

23. ადმინისტრაციული ხარჯები მარაგის თვითღირებულებაში:

ა) ყოველთვის შეიტანება;

ბ) არ შეიტანება;

გ) შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებულია მარაგის ტრანსპორტირებასა და მათ სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან.

24. პროდუქციის რეკლამის ხარჯი მარაგის თვითღირებულებაში:

ა) შედის;

ბ) არ შედის;

გ) გადაწყვეტილება დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე.

25. საწარმომ თავისი სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენებოდა დისტრიბუციისათვის, ერთჯერადად მოახდინა შესყიდული მასალის გადმოზიდვა საწყობამდე. აღნიშნული ტრანსპორტირების ხარჯი მიეკუთვნება:

ა) მასალის თვითღირებულებას;

ბ) მიწოდების ხარჯს;

გ) ადმინისტრაციულ ხარჯს.

26. პერიოდული აღრიცხვის სისტემის დროს შეძენილი სასაქონლო – მატერიალური მარაგი აღიარდება, როგორც:

ა) აქტივი;

ბ) შემოსავალი;

გ) ხარჯი.

27. მუდმივი აღრიცხვის სისტემის დროს შეძენილი სასაქონლო - მატერიალური მარაგი აღიარდება, როგორც:

ა) აქტივი;

ბ) შემოსავალი;

გ) ხარჯი.

28. რეალიზებული მარაგის თვითღირებულება პერიოდული აღრიცხვის დროს გამოითვლება ფორმულით:

ა) საწყისი ნაშთი + ნეტო შესყიდვა – საბოლოო ნაშთი;

ბ) საწყისი ნაშთი + საბოლოო ნაშთი – გასვლა;

გ) საწყისი ნაშთი + საბოლოო ნაშთი – ნეტო შესყიდვა.

29. სილამაზის სალონების, სამედიცინო ფირმების და მსგავსი ტიპის მომსახურების სფეროს ორგანიზაციების ყველა ხარჯი, ბურალტრულ აღრიცხვაში ძირითადად აისახება:

ა)სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში;

ბ)საღრიცხვო პერიოდის ხარჯში;

გ)კონვერსიის დანახარჯებში.

30. რომელია სწორი მსჯელობა:

ა) პროფესიული მომსახურების გამწევი ფირმების დანახარჯების მნიშვნელოვანი წილი მოდის მასალებზე;

ბ) პროფესიული მომსახურების სფეროს საწარმოთა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება, ძირითადად, შედგება იმ პერსონალის შრომითი დანახარჯებისაგან, რომლებიც დაკავებულნი არიან უშუალოდ მომსახურების გაწევით;

გ) ორივე პასუხი სწორია.

31. სასაქონლო მატერიალური მარაგი შეძენისას აისახება:

ა) თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით;

ბ) თვითღირებულებით;

გ) რეალური ღირებულებით.

32. საცალო ფასების მეთოდის დროს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება:

ა) ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მიხედვით;

ბ) გასაყიდი ფასის მიხედვით;

გ) ნორმატიული დანახარჯების მიხედვით.

33. რომელია სწორი მსჯელობა:

ა) ნორმატული მეთოდის გამოყენების დროს, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ნორმატული დონეები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს;

ბ) ნორმატული მეთოდის დროს თვითღირებულება განისაზღვრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობის გასაყიდი ფასის მიხედვით;

გ) ორივე მსჯელობა სწორია.

34. საცალო ფასებისა და ნორმატული ფასების მეთოდი გამოიყენება, მარაგის:

ა) თვითღირებულების განსაზღვრისათვის;

ბ) სარეალიზაციო ფასის განსაზღვრისათვის;

გ) საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების საცალო და ნორმატული დონის განსაზღვრისათვის.

35. რომელი მეთოდი გულისხმობს, რომ სასაქონლო–მატერიალურ ფასეულობის ელემენტების გაყიდვისას, მათი მარაგის ანგარიშიდან ჩამოწერისათვის, ყურადღება არ ექცევა მათი შეძენის რიგითობას:

ა) მეთოდი "ფიფო";

ბ) საშუალო შეწონილი მეთოდი;

გ) ორივე პასუხი სწორია.

36. საწარმო ვაჭრობს მცირე ასორტიმენტის შედარებით ძვირადღირებული საქონლით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებების განსაზღვრისათვის, რომელი მეთოდია ხელსაყრელი საწარმოსათვის:

ა) საშუალო შეწონილი მეთოდი;

ბ) სპეციალური იდენტიფიკაციის მეთოდი;

გ) "ფიფო" მეთოდი.

37. "მცოცავი საშუალო"-ს მეთოდი გამოიყენება:

ა) მარაგის მუდმივი აღრიცხვის დროს;

ბ) მარაგის პერიოდული აღრიცხვის დროს;

გ) როგორც მუდმივი, ისე პერიოდული აღრიცხვის დროს.

38. მარაგის აღრიცხვის „ფიფო" მეთოდი გულისხმობს:

ა) პირველად ჩამოიწერება რიგით ბოლოს შესყიდული მარაგის თვითღირებულება;

ბ) პირველად ჩამოიწერება რიგით პირველად შესყიდული მარაგის თვითღირებულება;

გ) „ფიფო" მეთოდის დროს მნიშვნელობა არ აქვს მარაგის შესყიდვის რიგითობას.

39 . სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ხდება:

ა)თვითღირებულებით;

ბ) თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით;

გ) სარეალიზაციო ღირებულებით.

40. რომელი მსჯელობაა სწორი :

ა) სასაქონლო-მატერიალური მარაგი ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს; თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით;

ბ) დასაშვებია მარაგი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს თვითღირებულებაზე ნაკლები ფასით, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასის ცვლილებით;

გ) ორივე პასუხი სწორია.

41. რომელი მსჯელობაა არასწორი:

ა) ნედლეული, რომელიც განკუთვნილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საწარმოებლად, შეიძლება ჩამოფასდეს თვითღირებულებაზე დაბლა, თუ მოსალოდნელია, რომ მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულებაზე მაღალ ფასში;

ბ) ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ხელახლა გაიანგარიშება;

გ) თუ ნედლეულსა და მასალებზე ფასები ისე დაეცემა, რომ მზა პროდუქციის თვითღირებულება გადააჭარბებს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას, ნედლეული და მასალები უნდა ჩამოფასდეს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე.

42. ჩამოთვლილთაგან, რომელი უნდა იყოს განმარტებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში:

ა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ გამოყენებული საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა;

ბ) იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია წინა საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად;

გ) ორივე პასუხი სწორია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა – ამოცანები

სავარჯიშო N1

შპს "საბა" არის სავაჭრო ცენტრი, რომელიც ვაჭრობს ფართო ასორტიმენტის საქონლით.

<u>რეკვიზიტები:</u> *მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა №128, ტელეფონი: (0431) 272255, საიდენტიფიკაციო კოდი: 212160122.*

შპს "საბა"-ს სექცია №5-ს ესაჭირეობა შემდეგი საქონელი, კერძოდ:

- ✓ *შამპუნი (კოდი 001) – 100 ცალი;*
- ✓ *სარეცხი საშუალება (კოდი 002) – 200 ცალი;*
- ✓ *საპონი (კოდი 003) – 300 ცალი;*

<u>დავალება:</u>

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეავსეთ სექცია №5-ის შესყიდვის განაცხადი №10 შესყიდვის განყოფილებაში გასაგზავნად. განაცხადის შევსების თარიღია 20X2 წლის 6 აგვისტო.

შესყიდვის განაცხადი

თარიღი : ---------- *რიგითი ნომერი : -------*

დანიშნულება : ----------

რაოდენობა და ერთეული	აღწერა	საქონლის კოდი	სექციის ნომერი	მიწოდება		შესყიდვის შეკვეთა		
				თარიღი	ადგილი	№	თარიღი	მომწოდებელი

შემკვეთი განყოფილება : ---------- *ხელმოწერა : ----------*

შემსყიდველმა განყოფილებამ იმავე დღეს მისცა დაკვეთა მის მუდმივ მომწოდებელს - შპს "არტს", რომლის რეკვიზიტებია:

მისამართი: ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის №14

ტელეფონი: (0431) 272160

საიდ. კოდი: 212163568

მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული მოწოდების ფასები შეადგენს: *შემპუნი – ერთეული 5 ლარი;*

სარეცხი საშუალება – ერთეული 4 ლარი;

საპონი – ერთეული 1 ლარი.

<u>მოგეთხოვებათ:</u> *შესყიდვის განაცხადის საფუძველზე შეავსოთ შესყიდვის შეკვეთის ბლანკი №15.*

შესყიდვის შეკვეთა

ვის: ---------- *რიგითი ნომერი: ----------*

თარიღი: ----------

შესყიდვის განაცხადის ნომერი: ----------

გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქონელი 8 აგვისტოს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

რაოდენობა	**აღწერა**	**კოდი**	**მიწოდების თარიღი**	**ერთ. ფასი (ლარი)**

მიწოდების გადახდის პირობები – უნაღდო ანგარიშსწორება
შპს "საბა"-მ 20X2 წლის 08 აგვისტოს შპს "არტში" შესყიდული საქონლის გადმოსაზიდად მიავლინა მძღოლი რამაზ მხეიძე (პირად. ნომერი - 60002548345, ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი KET-334). ტრანსპორტირებისათვის დაიხარჯა 120 ლარის ღირებულების საწვავი, ხოლო მივლინების ხარჯმა შეადგინა 60 ლარი. შპს "არტმა" შპს "საბა"-ს სასაქონლო ზედდებული მიაწოდა ელექტრონული ფორმით. შეძენილი საქონელი მიღებული იქნა საწყობში. მიღებისასწუნდებული საქონელი არ გამოვლენილა.

<u>მოგეთხოვებათ:</u> *შეავსოთ საქონლის შემოსავლის ზედდებული.*

საქონლის შემოსავლის ზედდებული

ვის: ---------- *რიგითი ნომერი ----------*

მომწ. ---------- *გაცემის თარიღი ----------*

მოწოდების თარიღი ---------- *შესყიდვის შეკვეთის ნომერი ---------*

აღწერა	**კოდი**	**შეკვეთილი რაოდ. ცალი (ცალი)**	**ბრუტო წონა (ბრუტო)**	**მიღებული რაოდენობა, ცალი**	**წუნდებული რაოდენობა**	**შენიშვნები**

მიმღები : ---------- *მივიღე ----------* *შემმოწმებელი ----------*

შემკვეთი : ---------- *თარიღი ----------*

<u>მოგეთხოვებათ:</u> *გაიანგარიშოთ თითოეული შესყიდული საქონლის თვითღირებულება ცალ-ცალკე, ტრანსპორტირებისა და მივლინების ხარჯები თითოეულ საქონელზე გადაანაწილეთ, თითოეულის შეძენის ღირებულების საერთო შეძენის ღირებულებაში ხვედრითი წილის მიხედვით.*

საქონლის თვითღირებულების კალკულაცია

დასახელება : -----
შესყიდვის შეკვეთა -------
საქონლის შემოსვლის ზედდებული ----------
თარიღი : ----------

საქონლის დასახ.	კოდი	რაოდენობა	ერთ. ნასყიდობის ღირებულება (ლარი)	სულ ნასყიდობის ღირებულება (ლარი)	სხვა დანახარჯები			სულ თვითღ.	ერთ. თვითღ.
					ტრანსპორ-ება	მივლინება	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

მთავარი ბუღალტერი ----------

ამოცანა №2

საწარმო "X"-მა ბროკერის დახმარებით შეიძინა საქონელი და მომწოდებელს გადაურიცხა 12.000 ლ; ტრანსპორტირებისათვის ფირმას გადაურიცხა 590 ლარი; ხელშეკრულების თანახმად ბროკერს მომსახურებისათვის ერგება საქონლის ნასყიდობის ფასის 3%-ი.

<u>მოგეთხოვებათ:</u> *გამოიანგარიშოთ მარაგის თვითღირებულება და ასახეთ ეს სამეურნეო ოპერაცია საწარმო "X"-ის საბუღალტრო აღრიცხვაში.*

სავარჯიშო №3

საწარმო "X"–მა შეიძინა მასალა, რისთვისაც განახორციელა შემდეგი გადახდები საბანკო ანგარიშიდან:

- ✓ *მომწოდებელს გადაურიცხა 1.770 ლარი, მ.შ დღგ 270 ლარი;*
- ✓ *საქონლის ტრანსპორტირებისათვის – 944 ლარი, მ.შ დღგ 144 ლარი;*
- ✓ *საბაჟო გადასახადი – 300 ლარი;*
- ✓ *საბაჟო დეკლარირების მომსახურებისათვის – 80 ლარი;*
- ✓ *ტრანსპორტირებისას ტვირთის დაზღვევისათვის – 200 ლარი.*

<u>მოგეთხოვებათ:</u> *გამოთვალოთ შეძენილი მარაგის თვითღირებულება და გაატარეთ ბუღალტრულად:*
ა) დღგ–ს გადამხდელი;
ბ) დღგ–ს არ გადამხდელი საწარმოსათვის;

ამოხსნა:

ა)

ბ)

ამოცანა №4

"ა" საწარმომ წლის განმავლობაში აწარმოა 2.000 წყვილი ფეხსაცმელი. ამ პერიოდში საწარმომ გასწია შემდეგი დანახარჯები: მასალები 60.000 ლარი, კომუნალური დანახარჯები 3.800 ლარი, მუშების ხელფასი 8.000 ლარი, წარმოების მართვის დანახარჯები 5.000 ლარი, საწარმოო დანიშნულების დანადგარების ცვეთა 2.900 ლარი, ადმინისტრაციული შენობის დაცვის მომსახურება 3.600 ლარი.

<u>მოგეთხოვებათ:</u> *გაიანგარიშოთ წარმოებული ერთეული პროდუქციის თვითღირებულება.*

ამოცანა №5

სამკერვალო ფაბრიკამ მიიღო დაკვეთა სასკოლო ფორმებზე. შეკვეთის მოცულობაა – 100.000 ერთეული. შეკვეთა მიღებული იყო 1 მაისს და დასრულდა 1 აგვისტოს.

<u>შეკვეთის შესრულების განმავლობაში დაიხარჯა:</u>

- ✓ *920.000 ლარის ძირითადი და 346.000 ლარის დამხმარე მასალა;*
- ✓ *ძირითადი შრომის ანაზღაურებისათვის დაიხარჯა 540.000 ლარი, ხოლო დამხმარე შრომისათვის 128.000 ლარი;*

<u>საწარმოო პროცესს მოხმარდა:</u>

- ✓ *ელ. ენერგია, ღირებულებით – 286.000 ლარი;*
- ✓ *კომუნალური გადასახადები – 132.000 ლარი;*
- ✓ *შენობებისა და ძირ. საშ. იჯარა – 560.000 ლარი;*
- ✓ *სხვა საწარმოო ხარჯები – 182.000 ლარი.*

<u>მოგეთხოვებათ:</u>

1) *შეადგინოთ თვითღირებულების კალკულაცია (გამოიყენეთ შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა);*
2) *გამოთვალოთ ერთი სასკოლო ფორმის თვითღირებულება.*

ამოცანა №6

კომპანია სერიულად აწარმოებს მაცივრებს. 20X2 ნოემბრის თვის განმავლობაში საწარმომ გასწია შემდეგი დანახარჯები:

<u>მასალა:</u>

- ✓ *ძირითადი – 90.000 ლარი;*
- ✓ *დამხმარე – 15.000 ლარი.*

<u>ხელფასი:</u>

- ✓ *წარმოებაში დაკავებული ძირითადი მუშების – 8.000 ლარი;*
- ✓ *წარმოებაში დაკავებული დამხმარე მუშების – 4.000 ლარი;*
- ✓ *დისტრიბუტორების – 4.650 ლარი;*
- ✓ *ადმინისტრაციული პერსონალის – 7.000 ლარი.*

<u>დარიცხული ცვეთა:</u>

- ✓ *საწარმოო დანადგარების – 4.000 ლარი;*
- ✓ *მასალების საწყობის – 2.000 ლარი;*
- ✓ *მზ. პროდუქციის საწყობის – 3.000 ლარი;*
- ✓ *ადმინისტრაციული შენობის – 2.200 ლარი.*

წარმოებაში დაიხარჯა 3.000 ლარის ელ. ენერგია. 20X2 ნოემბრის თვის ბოლოს დასრულდა და მზა ნაწარმის საწყობს გადაეცა 210 ერთეული მაცივარი, ხოლო დაწყებული და ნახევრად დასრულებულია 120 მაცივარი.

<u>მოგეთხოვებათ:</u>

1) *შეადგინოთ ნოემბრის თვის წარმოების დანახარჯების კალკულაცია (გამოიყენეთ პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა);*
2) *გამოთვალოთ ერთეული მზა პროდუქციის თვითღირებულება.*
3) *განსაზღვროთ ნოემბრის ბოლოს ანგ. 1630 "დაუმთავრებელი წარმოებისა" და ანგ. 1640 "მზა პროდუქციის" ნაშთები.*

ამოცანა N7

კომპანიის წლიური გეგმიური დანახარჯები "X" პროდუქციისათვის, შეადგენს:

<u>ცვლადი დანახარჯები:</u>

- ✓ *ძირითადი მასალა – 20.000 ლარი;*
- ✓ *დამხმარე მასალა – 5.000 ლარი;*
- ✓ *ძირითადი შრომა – 30.000 ლარი;*
- ✓ *დამხმარე შრომა – 4.000 ლარი.*

<u>მუდმივი ზედნადები დანახარჯები:</u>

- ✓ *ელ. ენერგია – 10.000ლარი;*
- ✓ *ცვეთა – 6.000 ლარი.*

წლის განმავლობაში ჩარხების მუშაობის გეგმიური საათებია – 4.000 სთ. იანვრის თვეში ფაქტიურად წარმოებულია – 200 ცალი "X" პროდუქცია, რომელზეც ფაქტიურად დაიხარჯა 120 ჩარხ/სთ.

მოგეთხოვებათ: *1) გაიანგარიშოთ ზედნადები დანახარჯების შთანთქმის გეგმიური განაკვეთი, თუ პროდუქციისათვის ზედნადები ხარჯების მიკუთვნება ხდება გეგმიური ჩარხ საათების მიხედვით;*
2) გათვალოთ 200 ცალი "X" პროდუქციაზე მიკუთვნებული მუდმივი ზედნადები დანახარჯები.

ამოცანა №8

საწარმო "Y" აწარმოებს საკანალიზაციო ჭის თავებს. მან მოიგო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გამოცხადებული ტენდერი, რომლის თანახმად საწარმომ 20X2 წლის განმავლობაში უნდა დაამზადოს 20 ათასი ერთეული ჭის თავი. დანახარჯთა აღრიცხვა სპეციალისტმა დათვალა ამ შეკვეთისათვის საჭირო დანახარჯები და წარმოადგინა ერთეული პროდუქციის გეგმური კალკულაცია:

ძირით. მასალა	*- 60 ლარი*
ძირით. შრომა	*- 30 ლარი*
სულ ძირით. დანახარჯი	*- 90 ლარი*
დამხმარე მასალა	*- 15 ლარი*
დამხმარე შრომა	*- 10 ლარი*
სულ ცვლადი ზედნადები ხარჯი	*- 25 ლარი*
სულ ერთ. ცვლადი დანახარჯი	*- 115 ლარი*
მუდმივი დანახარჯი ერთეულზე	*- 10 ლარი*
სულ ერთ. თვითღ.	*- 125 ლარი*

მუდმივი ზედნადები დანახარჯების მიკუთვნების განაკვეთი შეადგენს 5 ლარს კაც/საათზე.

იანვრის თვეში საწარმომ ფაქტიურად გამოუშვა 2.000 ერთეული პროდუქცია, რომელზეც დახარჯა 4000 კაც/საათი. ფაქტიური ზედნადები დანახარჯი იყო - 20.500 ლარი.

მოგეთხოვებათ: *განსაზღვროთ, მუდმივი ზედნადები ხარჯების მიკუთვნების "სიჭარბესთან" გვაქვს საქმე თუ "დანაკლისთან" და გამოთვალეთ იგი.*

ამოცანა №9

საწარმო მხოლოდ ერთ "X" პროდუქტს აწარმოებს.

<u>წლიური გეგმიური მონაცემებია:</u>

1) *წარმოების მოცულობა – 24.000 ერთეული;*
2) *მუდმივი ზედნადები ხარჯები – 20.400 ლარი; მათ შორის:*
   - ✓ *კომუნალური გადასახადები – 6.000 ლარი;*
   - ✓ *წარმოების ადმინისტრაციის ხელფასი – 14.400 ლარი.*

მუდმივი ზედნადები ხარჯების მიკუთვნება ხდება წარმოებული ერთეულების საფუძველზე. მარტის თვის განმავლობაში წარმოებული და რეალიზებულია 2 000 ერთეული "X" პროდუქტი. ფაქტიური აღრიცხვის საფუძველზე ირკვევა, რომ თითოეულ ერთეულზე დაიხარჯა:

ძირითად მასალა	*– 6 ლარი*
ძირითადი შრომა	*– 2 ლარი*
სულ ძირითადი დანახარჯი	*– 8 ლარი*
დამხმარე მასალა	*– 2 ლარი*
დამხმარე შრომა	*– 1 ლარი*
სულ ცვლადი ზედნადები ხარჯი	*– 3 ლარი*
სულ ცვლადი დანახარჯი	*– 11 ლარი*

თვის მუდმივი ზედნადები დანახარჯების ფაქტიური მონაცემებია:

კომუნალური გადასახადები	*– 650 ლარი;*
წარმოების ადმინისტრაციის ხელფასი	*– 1.200 ლარი.*
სულ ფაქტიური მუდმივი ზედნადები ხარჯი	*– 1.850 ლარი.*

მოგეთხოვებათ: *ა) გაიანგარიშოთ მუდმივი ზედნადები დანახარჯების მიკუთვნების განაკვეთი;*

ბ) გაიანგარიშოთ წარმოებული "X" პროდუქტის თვითღირებულება;

გ) განსაზღვროთ, მუდმივი ზედნადები ხარჯის შთანთქმის "სიჭარბეს" აქვს ადგილი თუ შთანთქმის "დანაკლისს" და გამოთვალეთ იგი;

დ) ყველა დანახარჯები ასახოთ T ანგარიშებზე. ზედნადები დანახარჯისათვის გამოიყენეთ 1631 ანგარიში. გაითვალისწინეთ, რომ მარტის დასაწყისისთვის ძირითადი მასალის ნაშთია 25.000 ლარი, ხოლო დამხმარე მასალის 5.000 ლარი.

ამოცანა №10

დავალება: *მოახდინეთ ოპერაციების ასახვა მარაგის აღრიცხვის პერიოდული და მუდმივი აღრიცხვის სისტემისათვის.*

I – *ფირმა „ნათია" იყენებს მარაგის აღრიცხვის მუდმივ მეთოდს.*

<u>საწყისი ნაშთი 1 იანვრისათვის მარაგის შეადგენს 5.000 ლარს.</u>

1) წლის განმავლობაში ფირმამ ნაღდ ანგარიშზე შეიძინა 8.000 ლარის საქონელი.

დ.

კ.

2) წლის განმავლობაში ფირმამ მოახდინა 10.000 ლარის საქონლის რეალიზაცია კრედიტით, მისი თვითღირებულება შეადგენდა 8.500 ლარს

ა) დ.

კ.

ბ) დ.

კ.

2) გამოთვალეთ წლის ბოლოსათვის საქონლის ნაშთი და რეალიზებული მარაგის თვითღირებულება.

1610

დ *კ*

7200

დ *კ*

II – *ფირმა „ნათია" იყენებს **<u>პერიოდული აღრიცხვის</u>** მეთოდს.*

<u>საწყისი ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა იგივე 5.000 ლარს.</u>

*1) წლის განმავლობაში ფირმამ ნაღდ ანგარიშზე შეიძინა 8.000 ლარის **<u>საქონელი</u>**.*

დ.

კ.

3) წლის განმავლობაში ფირმამ მოახდინა 10.000 ლარად საქონლის რეალიზაცია კრედიტში.

დ.

კ.

3) წლის ბოლოს 31 დეკემბერს ვითვლით მარაგს და ვადგენდთ მის საბოლოო ნაშთს, რომელიც აღმოჩნდა 4500 ლარის ოდენობით. გააკეთეთ ნაშთის კორექტირება და შეადგინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები:

დ.

კ.

4) გამოთვალეთ წლის ბოლოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

1610

დ _____ *კ*

7200

დ _____ *კ*

7210

დ _____ *კ*

7290

დ _____ *კ*

ამოცანა №11

<u>დავალება:</u> *ქვემოთ მოცემული ოპერაციების მიხედვით შეადგინეთ ბულალტრული გატარებები მარაგის უწყვეტი და პერიოდული აღრიცხვის სისტემების დროს.*

1. შეძენილია 10.000 ლარის საქონელი. ფული გადაირიცხა საბანკო ანგარიშიდან.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

2. დაბრუნებულია მომწოდებლისათვის 1.700 ლარის შეძენილი საქონელი. ფული მიღებულია სალაროში.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

3. უნაღდო ანგარიშწორებით რეალიზებულია 2.000 ლარის თვითღირებულების საქონელი 3.000 ლარად.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

4. დაბრუნებულია 1.200 ლარის თვითღირებულების გაყიდული საქონელი, მყიდველზე სალაროდან გაიცა 1.800 ლარი.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	**პერიოდული აღრიცხვის მეთოდი**

5. დაბრუნებულია მომწოდებლისათვის შეძენილი საქონლის ნაწილი 2 500 ლარის ოდენობით. შეთანხმების მიხედვით თანხა გამოიქვითება მომწოდებლის წინაშე არსებული ვალდებულებიდან.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	**პერიოდული აღრიცხვის მეთოდი**

6. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ინვენტარიზაციით დადგინდა საქონლის ნაშთი 600 ლარი. პერიოდის დასაწყისში იგი შეადგენდა 200 ლარს.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	**პერიოდული აღრიცხვის მეთოდი**

ამოცანა №12

დავალება: ქვემოთ მოცემული ოპერაციების მიხედვით შეადგინეთ ბუღალტრული გატარებები მარაგის უწყვეტი და პერიოდული აღრიცხვისათვის.

1. შეძენილია 10.000 ლარის ნედლეული და მასალები (ძირითადი). ფული გადახდილია სალაროდან.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

2. შეძენილია 800 ლარის დამხმარე ნედლეული და მასალები. ფული გადახდილია სალაროდან.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

3. პროდუქციის წარმოებაზე დაიხარჯა: 10.500 ლარის ძირითადი მასალა, 600 ლარის დამხმარე მასალა, 700 ლარის ძირითადი მუშების ხელფასი, 120 ლარი დანადგარის რემონტისათვის. (ხელფასისა და რემონტის თანხები გადახდილი არ არის).

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

4. წარმოებიდან მიღებულია მზა პროდუქცია თვითღირებულებით 11.000 ლარი.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

5. ნაღდი ანგარიშწორებით გაყიდულია 10.000 ლარის თვითღირებულების პროდუქცია 14.000 ლარად.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

6. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ინვენტარიზაციის შედეგად დადგენილია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთები, რომელთა ღირებულება შეადგენს:

- *ძირითადი მასალები 2.500 ლარი*
- *დამხმარე მასალები 200 ლარი*
- *მზა პროდუქცია 1.000 ლარი*
- *დაუმთავრებელი წარმოება 920 ლარი*

პ ე რ ი ო დ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს შ ი ნ ა შ თ ე ბ ი შ ე ა დ გ ე ნ დ ა

- *ძირითადი მასალები 2.000 ლარი;*
- *დამხმარე მასალები 300 ლარი;*
- *მზა პროდუქცია 500 ლარი;*
- *დაუმთავრებელი წარმოება 900 ლარი.*

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე დააკორექტირეთ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ნაშთები.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი	პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

ამოცანა №13

დავალება: ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე დამოუკიდებელი ოპერაცია. მოახდინეთ სამეურნეო ოპერაციების ანალიზი და ბულალტრული გატარების ჩაწერა - ასახვა მარაგის უწყვეტი და პერიოდული აღრიცხვის სისტემებისათვის.

1. შეძენილია 12 000 ლარის ძირითადი მასალები ნაღდი ანგარიშსწორებით.

უწყვეტი **პერიოდული**

2. შეძენილია დამხმარე მასალები პროდუქციის დასამზადებლად, რისთვისაც მომწოდებელს უნდა გადაუხადოთ 660 ლ. (600 ლარი – საქონლის ღირებულება; 60 ლარი – ჯარიმა (10 %) გადახდის დაგვიანებისთვის); ტვირთის ტრანსპორტირებისათვის გადახდილი უნდა იქნას 100 ლარი.

უწყვეტი **პერიოდული**

3. აღრიცხვის საფუძველზე პროდუქციას მიეკუთვნა 7 000 ლარის ძირითადი და 200 ლარის დამხმარე მასალა; პროდუქციის წარმოებაზე დაკავებულ მუშებს დაერიცხა ხელფასი 900 ლარი; დანადგარებზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 280 ლარი.

უწყვეტი **პერიოდული**

4. წარმოებიდან მიღებულია 8 380 ლარის მზა პროდუქცია.

უწყვეტი **პერიოდული**

5. უნაღდო ანგარიშსწორებით გაყიდულია 900 ლარის თვითღირებულების მზა პროდუქცია 1.300 ლარად.

უწყვეტი **პერიოდული**

6. დაბრუნებულია რეალიზებული 200 ლარის თვითღირებულების მქონე პროდუქცია. სალაროდან მყიდველზე გაიცა მის მიერ გადახდილი 250 ლ.

უწყვეტი ***პერიოდული***

7. კრედიტში შეძენილია 2.000 ლარის საქონელი. კრედიტის პირობებია: 3/10 ნ/30. საწარმომ ისარგებლა კრედიტის პირობით და ფული სალაროდან გადაიხადა მე-5 დღეს.

უწყვეტი ***შეძენა*** ***პერიოდული***

გადახდა

8. დაბრუნებულია მომწოდებელზე შეძენილი საქონლის ნაწილი ღირებულებით 110 ლარი. შეთანხმების მიხედვით თანხა გამოიქვითება მომწოდებლის წინაშე არსებული ვალდებულებიდან.

უწყვეტი ***პერიოდული***

9. დაუშვათ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა:

ანგ.№1610 - 700 ლარი;
ანგ.№1620 - 400 ლარი;
ანგ.№1630 - 150 ლარი;
ანგ.№1640 - 500 ლარი;
ანგ.№1690 - 200 ლარი;

წლის ბოლოს ინვენტარიზაციით დადგინდა მარაგის საბოლოო ნაშთი:

ანგ.№1610 - 500 ლარი;
ანგ.№1620 - 600 ლარი;
ანგ.№1630 - 100 ლარი;
ანგ.№1640 - 800 ლარი;
ანგ.№1690 - 250 ლარი;

მოახდინეთ მარაგის კორექტირება და ბულალტრული გატარება.

უწყვეტი ***პერიოდული***

ამოცანა №14

"ა" საწარმოს "X" მასალის დეკემბრის თვის მოძრაობის შესახებ გვაქვს შემდეგი ინფორმაცია:

1 დეკემბერს საწყობში იმყოფებოდა 100 ერთეული, 1 ერთეულის ღირებულება 2.00 ლარი;
5 დეკემბერს საწარმომ შეიძინა 200 ერთეული, ერთეულის ღირებულება 2,20 ლარი;
7 დეკემბერს რეალიზებული იქნა 125 ერთეული;
15 დეკემბერს შეძენილია კიდევ 300 ერთეული, ერთეულის ღირებულება 1.95 ლარი;
25 დეკემბერს რეალიზებულია 200 ერთეული;

<u>დავალება:</u> *ქვემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე შეაფასეთ ნაშთად დარჩენილი და რეალიზებული მარაგი:*

ა) "საშუალო ღირებულების მეთოდით" მარაგის აღრიცხვის როგორც უწყვეტი, ასევე პერიოდული სისტემის დროს;
ბ) "ფიფო მეთოდით" მარაგის აღრიცხვის როგორც უწყვეტი ასევე პერიოდული სისტემის დროს.

ამოცანა №15

ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციების საფუძველზე შეაფასეთ რეალიზებული და ნაშთად დარჩენილი მარაგი საწარმო "ა"-ში:

ა) "საშუალო ღირებულების" მეთოდით, მარაგის აღრიცხვის როგორც უწყვეტი, ასევე პერიოდული სისტემის დროს;

ბ) "ფიფო მეთოდით ", მარაგის აღრიცხვის როგორც უწყვეტი, ასევე პერიოდული აღრიცხვის სისტემის დროს.

1) ***<u>01 დეკემბერს</u>*** *- "ა" საწარმოს სასაწყობე მეურნეობაში იყო საქონლის 200 ერთეული, ერთეულის ფასია 1,50 ლარი;*
2) ***<u>05 დეკემბერს</u>*** *- შეძენილია 150 ერთეული, ცალი 1,70 ლარად;*
3) ***<u>11 დეკემბერს</u>*** *- შეძენილია 100 ერთეული, ცალი 1,60 ლარად;*
4) ***<u>16 დეკემბერს</u>*** *- გაიყიდა 210 ერთეული;*
5) ***<u>17 დეკემბერს</u>*** *- შეძენილია 260 ერთეული, ცალი 1,75 ლარად;*
6) ***<u>23 დეკემბერს</u>*** *- გაიყიდა 180 ერთეული;*

   ამავე დღეს შეძენილია 100 ერთეული, ცალი 1,85 ლარად
7) ***<u>27 დეკემბერს</u>*** *- გაყიდულია 290 ცალი.*

ამოცანა №16

20X2 საანგარიშგებო წლის ბოლოს საწარმო "X" მარაგის შესახებ ფლობს შემდეგ მარაგს:

საწარმოს საწყობში არსებული საწერი მაგიდის ნაშთი (20 ცალი) მოგვყვება 20X1 წლიდან. 20X1 წლის ბოლოს, მარაგის შეფასებისას, საწერი მაგიდის 1 ერთეულის სარეალიზაციო ღირებულება აღმოჩნდა 50 ლარით ნაკლები, ვიდრე მისი თვითღირებულება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა უმცირესით (600 ლარით).

<u>დავალება:</u> *მოახდინეთ მარაგის შეფასება 20X2 წლის ბოლოს და ასახეთ შესაბამისი ცვლილებები საწარმოს აღრიცხვაში.*

დასახელება	ერთეულის განზომილება	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის თვითღირებულება	საერთო თვითღირებულება	ერთეულის სარეალიზაციო ღირებულება	ერთეულის დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯი	ერთეულის ნეტი სარეალიზაციო ღირებულება	ერთეულის უმცირესი ღირებულება	სხვაობა მარაგის ღირებულებაში	საერთო სხვაობა
ხის მასალა	$მ^3$	1.000	200	200.000	250	20				
ტყავი	$მ^2$	200	30	6.000	25	2				
საძინებელი გარნიტური	ცალი	10	3.000	30.000	4.200	100				
საწერი მაგიდა	ცალი	20	600	12.000	900	80				
სავარძელი	ცალი	60	270	16.200	250	60				